რედაქტორის გვერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია..... 7-8

გამოძახილი ფატიმიდან.... 9-10

დონ ბოსკოს ტაძარი ბრაზილიაში .....I-IV

იუბილე 11

ქრისტეს თანამედროვე მოწმენი..... 12-13

კათოლიკური კულინარია 14-15

ეკლესიის საგანძურიდან16

სოციალური გვერდი - კარიტასი..... 17

საბავშვო გვერდი..... 18

ინფორმაცია..... 19

სექტემბერი

5 სექტემბერი - წმ. ტერეზა კალკუტელი, დედა ტერეზას დების დღესასწაული

8 სექტემბერი - მარიამის შობა, ვალეს საკრებულოს დღეობა, ბათუმის დიდი ეკლესიის დღეობა

14 სექტემბერი - ჯვართამაღლება, უნწის საკრებულოს დღეობა

15 სექტემბერი - მგლოვიარე ქალწული მარიამი, არალში შუა ფარეხის ეკლესიის დღეობა

16 სექტემბერი - მ. მიხეილ თამარაშვილის გახსენება (+1911)

21 სექტემბერი - წმ. მათე მოციქულისა და მახარებლის დღესასწაული

26 სექტემბერი - ნ. ლუიჯი ტეცა, წმ. კამილოს ასულთა კონგრეგაციის დღესასწაული

27 **სექტემბერი - ფატიმის ღვთისმშობლის ქანდაკების ჩამობრძანება საქართველოში**

29 სექტემბერი - წმ. მიქაელ, წმ. გაბრიელ და წმ. რაფაელ მთავარანგელოზთა დღესასწაული



ფატიმიდან ბედნიერების ფრთებით...

მთელ მსოფლიოში ადამიანები სულ უფრო მეტად უბედურად გრძნობენ თავს. მსოფლიოს 122 ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, 2021 წელს სევდის, მარტოობისა და სტრესის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ბოლო 16 წლის განმავლობაში. რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი: გამოკითხულთა 41%-მა აჩვენა, რომ ინტერვიუს წინა დღეს ძლიერი სტრესი განიცადა, 31%-მა - საგრძნობი ფიზიკური ტკივილი, 28%-მა - მოწყენილობა, 23%-მა კი - გაბრაზება. 330 მლნ ზრდასრული ადამიანი, სულ მცირე, ორი კვირის მანძილზე არ საუბრობს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან. ,,სრულწლოვანთა მეხუთედს არცერთი ადამიანი არ ჰყავს გვერდით, ვისი დახმარების იმედიც შეიძლება ჰქონდეს“.

ნუთუ ყველაფერი პანდემიის ბრალია? ცხადია, არა, ვინაიდან არსებული მონაცემებით, 2021 წელი ოდნავ სჯობდა 2020 წელს, ეს იყო შთამბეჭდავი წელი სოციალური შეზღუდვების მხრივ. რაში მდგომარეობს უბედურების მიზეზები? კვლევის თანახმად, ეს არის ,,სიღარიბე, სუსტი საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობები, შიმშილი, მარტოობა და კარგი სამსახურის არქონა“. რაც შეეხება სამსახურს, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ,,ვისაც აქვს სამსახური, მაგრამ არ მოსწონს, ,,უფრო საშინელია, ვიდრე ის, ვისაც საერთოდ არ აქვს“. ასევე ვიგებთ, რომ: ,,ორი მილიარდი ადამიანი მწირი შემოსავლით ცხოვრობს, ხოლო ორი მილიარდი თავს იმდენად უბედურად გრძნობს იმ ადგილზე, სადაც ცხოვრობს, რომ არცერთ ნაცნობს არ ურჩევს მას“. გარდა ამისა, სოციალურ დონეზე ,,არეულობა, გაფიცვები და ანტისამთავრობო მანიფესტაციები 244%-ით გაიზარდა 2011 წლიდან 2019 წლამდე“. საბედნიეროდ, მთავრობას ხალხი ირჩევს! წარმოიდგინეთ, ასე რომ არ ყოფილიყო. ეს ადასტურებს, რომ მთავრობა წარმოადგენს ტექნოკრატიულ ოლიგარქიას, რომელიც ზეგავლენას ახდენს მოქალაქეებზე, ხოლო დემოკრატიული არჩევნები უბრალოდ ხრიკია იმისათვის, რომ ,,კანონიერად“ გამოიყენონ ძალაუფლება,

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS

სტიგმატელი, ეპისკოპოსის ვიკარი ეკუმენიზმისა და კულტურის დარგში, წინამძღვარი (ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი)

ხშირად მოქალაქეებისა და ოჯახების წინააღმდეგ. სიღარიბე, მარტოობა, უმუშევრობა და საკმარისი შემოსავალი ვერ უქმნის ადამიანს ბედნიერი ცხოვრების პირობებს, მაგრამ რატომ ცხოვრობენ ადამიანები ამგვარ სიტუაციებში? იქნებ სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ გლობალური უბედურების მიზეზები? ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რაც კვლევის ანგარიშიდანაც ირკვევა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა მიიჩნევა ყველაზე ბედნიერ ქვეყნებად; ხოლო ლათინური ამერიკის საზღვრებს გარეთ ვხვდებით ქვეყნებს, როგორიცაა ფილიპინები და სენეგალი (ბოლო - ავღანეთი), სადაც მძლავრობს სიღარიბე, ძალადობა, უმუშევრობა და ასე შემდეგ. ზუსტად ამ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სხვაგან.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ ცხრა ქვეყანაში, უბედურების მხრივ პირველი ადგილი რომ უკავიათ, ქრისტიანები არ არიან, მაგრამ, ნეპალის გარდა, ამ ქვეყნების უმრავლესობას მუსლიმები შეადგენენ. შემთხვევითია? როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ბედნიერი, როცა იგი გახდა ,,შავი ხვრელი“, რომელიც ყველას და ყველაფერს შთანთქავს; როცა სიცოცხლეს აღიქვამს ზღვის ზედაპირად, რასაც მხოლოდ სერფინგისთვის გამოიყენებ და ვერასოდეს შეძლებ მის სიღრმეში ჩაყვინთვას; როცა გართობისთვის ხარჯავს მთელ მემკვიდრეობას ან ცხოვრებას ინგრევს ნარკოტიკით, მისი აზრით, მსუბუქი ფორმით; როცა ფიქრობს, რომ განქორწინება მეორე და აუცილებელი შანსია; რომ აბორტის გაკეთებით არც არაფერი ხდება; როცა აბებს იმისთვის იღებს, რომ წონაში დაიკლოს, დაფეხმძიმდეს ან მუცელი მოიშალოს, დაიძინოს ან იფხიზლოს, ახსოვდეს ან დაივიწყოს; როცა საკუთარ დედას გამოურთავს აპარატს, რომელზედაცაა შეერთებული, მაშინ როცა დედამ მისი გულისთვის სასწორზე შეაგდო თავისი სიცოცხლე; როცა მრავალჯერ უთამაშია სიყვარულთან; როცა ერთგულება, მისი აზრით, მდგომარეობს ნებისმიერ ფასად მიღებულ სიამოვნებაში; როცა შვილი საკუთარი ცხოვრების დამატებით მზითვად უნდა და ხელოვნური ჩასახვის კლინიკაში აწარმოებს; როცა ახალ ხელქვეითს ისე იღებს, როგორც კომპიუტერის ახალ მოდელს ყიდულობს; როცა ჰორიზონტს იფართოებს მხოლოდ სოციალური ქსელების ,,ლაიქებით“; როცა იღებს ჯუნგლის კანონებს და როცა თავისი გადახრით ამაყობს?

ასე რომ, დავსვათ კითხვა: ეგზისტენციალური უკმაყოფილების ფესვები სხვაგან ხომ არ უნდა ვეძიოთ? თუკი ადამიანებმა თავად ვისურვეთ ცხოვრება ღმერთის გარეშე, ლოცვის გარეშე, წმიდა საიდუმლოთა გარეშე, ეკლესიის გარეშე, კაცთმოყვარეობის გარეშე; თუკი დავცინით, ვბღალავთ, ვანადგურებთ, უარვყოფთ, უგულებელვყოფთ, ან უარესი, ბოროტად ვიყენებთ რწმენას, როგორ შეგვიძლია ბედნიერად ვგრძნობდეთ თავს?

სწორედ ეს მოხმობა გაისმის ფატიმიდან, იმ ვიზიტის მეშვეობით, რასაც ჩვენს კათოლიკე საკრებულოებში მოიმოქმედებს მილიონობით მორწმუნის სათაყვანებელი ღვთისმშობლის ხატი, მოხმობა ყველასადმია - დაუბრუნდნენ ჭეშმარიტი ბედნიერების წყაროს!

სტატიაში გამოყენებულია ჩლობალ Emotions Report 2022 redatto dalla Gallup cnobili kvleviTi centris monacemebi: https://www.gallup.com

ახალგაზრდა კათოლიკეთა პირველი ფესტივალი ყირგიზეთში

1-9 აგვისტოს, ყირგიზეთში, ტბა ისიქ-ქოლთან განლაგებულ ახალგაზრდულ ცენტრში პირველი ადგილობრივი კათოლიკური ფესტივალი გაიმართა. შეხვედრა, რომელშიც ყირგიზეთის ახალგაზრდებთან ერთად უზბეკეთისა და ყაზახეთის კათოლიკეებიც მონაწილეობდნენ, ქრისტიანული იდენტობისა და ეკლესიის სოციალური მსახურების თემებს მიეძღვნა. ფესტივალის პროგრამის მნიშვნელოვანი პუნქტი სამრევლოთა სოციალური მსახურების პროექტების მომზადება იყო. მონაწილეებმა წარადგინეს ექვსი პროექტი, რომელთა მიზანი მარტოხელა მოხუცებისა და უნარშეზღუდულების, რთულ სიტუაციაში აღმოჩენილი ახალგაზრდებისა და ბავშვების დახმარებაა. შეხვედრის ორგანიზატორთა მოთხოვნით, წარდგენილ პროექტებში გათვალისწინებულია ყველა კრიტერიუმი: მიზანი, კონტექსტი, სამიზნე ჯგუფი, მოსალოდნელი შედეგი, ეფექტურობა, ბიუჯეტი და შესრულების ვადა.

ნიკარაგუა: ორტეგას მთავრობა კათოლიკე ეკლესიას უტევს

ნიკარაგუას კათოლიკე ღვთისმსახურები აცხადებენ, რომ ხელისუფლება თავს ესხმის ეკლესიას და მისი ავტორიტეტის დაკნინებას ცდილობს, იმ დროს, როცა ქვეყანა „სისხლისგან იცლება“ რეპრესიების, ემიგრაციის, პანდემიისა და შიმშილის გამო. „ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკური კრიზისია. ხელისუფლება ოპოზიციის ლიდერებს აპატიმრებს. მთავრობა კათოლიკე ეკლესიასაც უტევს. მისი წევრების მხრიდან გაისმის შეურაცხმყოფელი განცხადებები პაპ ფრანცისკეს, ქვეყნის კათოლიკე ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა მისამართით; ჩვენ გვდევნიან და ცილს გვწამებენ. ის, რაც ხდება, ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციით გარანტირებული აღმსარებლობის თავისუფლების ხელყოფაა“, - განაცხადა მანაგუას მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა ლეოპოლდო ბრენესმა.

ნიკარაგუას კათოლიკე ეკლესიასა და ორტეგას მთავრობას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა 2018 წელს, როცა პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ბრალი დასდეს ეკლესიას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში და ანტისამთავრობო დემონსტრაციების მოწყობაში. დევნა დღემდე გრძელდება. 6 ივლისს ქვეყნიდან გააძევეს დედა ტერეზას გულმოწყალების ორდენის დები. მთავრობის ოფიციალური განცხადებით, „ორდენმა ნაკისრი ვალდებულებები არ შეასრულა“. ამჟამად მატაგალპას ეპისკოპოსი და კიდევ რამდენიმე ღვთისმსახური შიდაპატიმრობაში იმყოფება. დაიხურა რამდენიმე კათოლიკური ტელე და რადიო არხი. 15 აგვისტოს მთავრობამ აკრძალა ფატიმის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მომლოცველთა მსვლელობა.

ლიბანში მარონიტ კათოლიკეთა მთავარეპისკოპოსი დააკავეს

ლინის სასაზღვრო პოლიციამ დააკავა ჰაიფასა და წმიდა მიწის მარონიტი მთავარეპისკოპოსი მუსა ელ-ჰაგე, რომელსაც ქვეყანაში ჰუმანიტარული დახმრება, მედიკამენტები, სამედიცინო აპარატურა, რამდენიმე ასეული ათასი დოლარი მოჰქონდა. „იერარქის დაკავება და დაკითხვა, დახმარების კონფისკაცია დიდად სავალალო ფაქტია. საქმე ისაა, რომ ეს დახმარება თანამემამულეებს

ისრაელის ლიბანელთა დიასპორის წევრებმა გაუგზავნეს. პოლიციამ ტვირთი და ფულადი დახმარება დააპატიმრა. დაკავებისას მთავარეპისკოპოსს ტელეფონი და პასპორტი წაართვეს“, - განაცხადა აშშ-ს კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის საერთაშორისო სამართლიანობისა და მშვიდობის კომიტეტის ხელმძღვანელმა, როკფორდის ეპისკოპოსმა დევიდ მელოიმ. ლიბანის წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანმა, მთავარეპისკოპოსმა ჯოზეფ სპირეტიმ ამ ფაქტს „სახიფათო ინცინდენტი“ უწოდა.

წმიდა საყდარი: თავდასხმა ბირთვულ ობიექტებზე დაუშვებელია

1-26 აგვისტოს ნიუ-იორკში გაიმართა გაეროს კონფერენცია, რომელიც ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას მიეძღვნა. წმიდა საყდრის დელეგაციის მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა გაბრიელ კაჩამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში. „დაუშვებელია ატომური ენერგიის, მედიცინისა და მეცნიერული ცენტრების გამოყენება სამხედო მიზნებისთვის. დღეს მსოფლიოში 440 ატომური რეაქტორია. მსოფლიოს მასშტაბით ეს რეაქტორები ელექტროენერგიის მეხუთედს აწარმოებს და ნახშირბადის გაფრქვევის დაბალი დონით ხასიათდება. ამრიგად, ბირთვული ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლაში და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას“, - აღნიშნა იერარქმა.

ნიგერიელი იერარქი: „როგორ დაიცვას ეკლესიამ თავისი სამწყსო?“

ნიგერიაში ქრისტიანთა დევნა გრძელდება. მათ იტაცებენ, კლავენ, შეიარაღებული დაჯგუფებები ქრისტიანთა დასახლებებს არბევენ, ხელისუფლება კი უმოქმედო რჩება. ნაირობიში, აფრიკის კათოლიკურ კონგრესზე, აბუჯის არქიეპარქიის მღვდელმა, მამა პატრიკ ალუმუკუმ განაცხადა, რომ ნიგერიის მთავრობას ყველა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ამ საშინელებას ბოლო მოუღოს. „ის, რაც ქვეყანაში ხდება, გვაფიქრებინებს, რომ ეს ხელისუფლების მიერ დაფინანსებული ტერორიზმია. როგორ დაიცვას ეკლესიამ თავისი სამწყსო? მას ხომ არც ჯარი ჰყავს, არც პოლიცია. ხელისუფლებას კი ჰყავს. თუმცა ის არაფერს აკეთებს. ასე რომ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნიგერიის მთავრობა არ არის დაინტერესებული ამ პრობლემის გადაწყვეტით. სათანადოდ არ არის გამოძიებული არცერთი სასტიკი მკვლელობა, არცერთი დამნაშავე არ დაუპატიმრებიათ, არავინ გაუსამართლებიათ. სამოქალაქო თავდაცვის ჯგუფებთან ვთანამშრომლობთ. ტერორისტულ დაჯგუფებებთან კავშირში ეჭვმიტანილებს ეკლესიაში არ ვუშვებთ. ზოგ ტაძარში, შესვლისას, ადამიანებს ვჩხრეკთ. სხვა გზა უბრალოდ არ დაგვრჩა. ჩხრეკისას არაერთხელ გამოგვივლენია სხვადასხვა ტაძარში ცეცხლსასროლი იარაღის ან ხელყუმბარის შეტანის მცდელობა. მართალია, საფრთხე აგვიცილებია, მაგრამ ეს ხელყუმბარები ხომ სადღაც სხვაგან მაინც ფეთქდება“, - განაცხადა მამა პატრიკმა.



 თინა კოკოჩაშვილი

და ამაღლდა ღვთისმშობელი ზეცად...

„დღევანდელი დღე ძვირფასია მთელი ეკლესიისთვის, განსაკუთრებით კი საკათედრო ტაძრის მრევლისთვის“, - ასე დაიწყო მეუფე ჯუზეპე პაზოტომ თავისი ქადაგება 15 აგვისტოს სამღვდელო დასთან ერთად აღვლენილი წმიდა წირვისას. ,,ულამაზესი დღეა და მოწოდებულნი ვართ, ჩვენც გავიზიაროთ მარიამის სიხარული“, - დასძინა მეუფემ.

მართლაც, ეს დიდდღესასწაული აგვირგვინებს მარიამის ცხოვრებას კაცობრიობის ისტორიაში. ანგელოზის ხარებიდან ცხოვრების ბოლო წუთამდე უფლის სადიდებელი ლოცვით (Magnificat anima mea Dominum - „ადიდებს სული ჩემი უფალსა“) განვლილი სარბიელის შემდეგ, შეგიძლიათ განჭვრიტოთ დედა-შვილის შეხვედრით გამოწვეული სიხარული, დიდი მორჩილების, მოთმინებისა და სევდიანი მოლოდინის ფასად შვილთან შეხვედრის ტრიუმფი. მახსენდება რომში, Santa Maria in Trastevere-ს ბაზილიკაში მოზაიკური გამოსახულება საკურთხევლის თავზე: ტახტრევანზე მჯდომი იესო ქრისტე მარჯვენა ხელით ეხვევა მარიამს. ვფიქრობ, აქ აღნიშნული შეხვედრის ერთ-ერთი ეპიზოდია გამოსახული. ამ სევდანარევ დიდდღესასწაულს მარიამი ზეცაში დიდებით შესვლით აგვირგვინებს.

სადღესასწაულოდ მორთული საკათედრო ტაძარი მრევლით გაივსო. წმიდა წირვა მეუფე ჯუზეპემ აღავლინა სხვადასხვა სამრევლოს მღვდელმსახურთა თანამონაწილეობით; აქ იყვნენ: მამა მაჩეი, წმიდა პეტრე-პავლეს ტაძრის მრევლთან ერთად; მამა ზიგმუნდი და მამა ლაშა, ბენეფიციარებთან ერთად; მამა ბექა არლიდან; მამა დარიუში, გორის საკრებულოს წევრებთან ერთად; მამა მიხალი და მამა ჯუზეპე პელიცარი. აგრეთვე სხვადასხვა კონგრეგაციის ბერმონაზვნები: დედა ტერეზას მოწყალების დები, კამილიელი მონაზვნები გორიდან, ნუნციატურაში მოღვაწე დედები, წმ. ელისაბედის დები და სალელი დები. მადლობას იმსახურებს საკათედრო ტაძრის სამრევლო საბჭო დიდი ძალისხმევისთვის და მამა ზურაბი, ტაძრის წინამძღვარი, ღონისძიების ორგანიზაციისა და სტუმრების უხვად გამასპინძლებისათვის წმიდა წირვის დასასრულს.

წინადღეს კი, ორი ათეული ტრადიციისამებრ, საკათედრო ტაძრის მრევლი, საკვირაო წმ. წირვის შემდეგ, თავისუფლების მოედნიდან ავტობუსით გავემგზავრეთ დაბა მანგლისში, რომელიც თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და მდებარეობს თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ალგეთის მახლობლად, ზღვის დონიდან 1200 მეტრზე, თბილისიდან 63 კილომეტრში. ხალხური გადმოცემის თანახმად, ამ ადგილს მანგლისი დაერქვა ბიზანტიელი ხუროთმოძღვრის, მანგლისის სიონის მშენებლის, ვინმე მანგლის პატივსაცემად. მანგლისი და მისი მიმდებარე ტერიტორია პრეისტორიული ხანის არქეოლოგიური ძეგლებით არის ცნობილი. ისტორიული წყაროების მიხედვით, მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი კერაა. ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე, IV საუკუნის დასაწყისში, აქ აიგო საქართველოში ერთ-ერთი პირველი ქვის ტაძარი - მანგლისის სიონი, სადაც, ლეგენდის თანახმად, ინახებოდა ერთი სამსჭვალი იმ ჯვრისა, რომელზედაც გააკრეს იესო ქრისტე, მაგრამ ქრისტიანთა მრავალგზის დარბევის შედეგად სამსჭვალი დაიკარგა. მანგლისის სიონი ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარია, სადაც, გადმოცემის თანახმად, ქართულ ენაზე ითარგმნა მათესა და იოანეს სახარება.

მანგლისში ჩასვლისთანავე, პირველ რიგში, მოვინახულეთ წმ. ალოიზიო გონძაგას სახელზე აგებული ყოფილი კათოლიკური ტაძრის ნანგრევები. ამ ტაძრის ისტორია კარგად არის აღწერილი ქალბატონ მანანა ქუთათელაძის წიგნში ,,კათოლიკობა საქართველოში, ლათინური

წესი“. ამ წიგნს თუ მოვიშველიებთ: XIX საუკუნის 30-იან წლებში, მანგლისში, გარდა რუსი საჯარისო ნაწილისა, პოლონელი სამხედროებიც მსახურობდნენ. მათ სურდათ, რომ მეფის არმიაში კათოლიკე კაპელანებიც ჰყოლოდათ. მანგლისში კათოლიკური ტაძრის მშენებლობა მხოლოდ 1860 წელს გახდა შესაძლებელი. ტაძარში გუნდის ადგილზე ფისგარმონია ჰქონდათ, დაბრძანებული იყო წმ. ალოიზიოს, ჩენსტოხოვოს ღვთისმშობლისა და სხვა ძვირფასი ხატები. ბოლშევიკების შემოსვლისთანავე ტაძარი დაიხურა. გასაბჭოების შემდეგ კი აქ კარაქის ქარხანა მოუწყვიათ. ახლა ტაძარი დანგრეული და საერთოდ მიტოვებულია.

მანგლისი ყოველთვის მიიჩნეოდა ბავშვების ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კურორტად ფიჭვნარის გამო, რომელიც გარს ეკვრის დაბას ყოველი მხრიდან. სწორედ ერთ ასეთ პარკში, მგზავრობით დაღლილებმა და საკმაოდ მოშიებულებმა, ბალახზე გავშალეთ გრძელი სუფრა, ამოვალაგეთ სურსათ-სანოვაგე და სუფთა ჰაერზე მხიარულად, ცეკვა-თამაშით გავატარეთ დრო. საღამო ხანს კი თბილისში დავბრუნდით. ასეთი იყო ქრისტესმიერი ძმებისა და დების ერთად გატარებული კვირადღე.

წყვდიადი და ნათელი – 2022 წლის 12-13 ივლისის მეორე საიდუმლოს კოსმიური საკითხავი ფატიმიდან

ვინც კი ერთხელ მაინც ყოფილა პორტუგალიაში, ქალწული მარიამის მომლოცველობის ადგილას, რომელიც მთლიანად თეთრი ქვითაა მოპირკეთებული, შეუძლებელია არ მოეხიბლა იმ სილამაზეს, რაც იქ მისულ მომლოცველებს ხვდებათ. თავად ამ ადგილზე არსებული ძველი ეკლესია მცირე ზომის თეთრი შენობაა, წითელი კრამიტით დახურული, მსგავსი იმისა, როგორი სტილიც ძველ ქართულ სახლებს ახასიათებთ. 1917 წლის 13 მაისს სწორედ აქ ეჩვენა მარიამი მწყემს ბავშვებს - ჟასინტას, ფრანცისშკუსა და ლუსიას. ეს გამოცხადება გრძელდებოდა ყოველ თვე, 13 ოქტომბრის ჩათვლით, რომელ დღესაც აღსრულდა ასევე მზის სასწაულიც. ამ კოსმიური მოვლენის შემდეგ კი დამტკიცდა გამოცხადების ნამდვილობა. მარიამის ფატიმაში გამოცხადების მთავარ უწყებას წარმოადგენს მოქცევა, მსხვერპლი და სავარდის ლოცვა, როგორც წვლილი სამყაროში მშვიდობისა და გამარჯვებისათვის მარიამის უბიწო გულის მიერ, რომელსაც მორწმუნენი უნდა სასოებდნენ. მწყემს ბავშვებს ემცნოთ სამი საიდუმლო, რაც ეკლესიამ უკვე გამოაქვეყნა კიდეც. მათგან მეორე არის ეგრეთ წოდებული ჯოჯოხეთის ხედვა (Höllenvision), რომელიც ფატიმის ცვილის მუზეუმში შთამბეჭდავადაა სცენაზე წარმოდგენილი. ამ მუზეუმში ნახავთ ღვთისმშობლის გამოცხადების რეპრეზენტაციებს სიბნელით მოცულ გზებსა და ოთახებში, სადაც ცოდვილთა სხეულები, როგორც გავარვარებული ნაკვერცხლები, ცეცხლში არიან გადასროლილი. 13 ივლისის მეორე საიდუმოს მეშვეობით პატარა მწყემსებს ეუწყათ შემდეგი:

„დავინახეთ ცეცხლის ზღვა და მასში ჩაძირული ეშმაკნი და სულები, თითქოს ისინი იყვნენ ნახევრად გამჭვირვალე, შავი და ბრინჯაოსფერი გავარვარებული ნაკვერჩხლები ადამიანის სახით, რომლებიც ცურავდნენ ცეცხლში, საიდანაც კვამლის ღრუბლები ამოდიოდა. ისინი ყველა მიმართულებით ცვიოდნენ დაბლა, როგორც ნაპერწკლები დიდი ხანძრისგან, წონისა და წონასწორობის გარეშე, ტკივილისა და სასოწარკვეთის ყვირილით, რაც ჩვენში თრთოლას და გარინდებას იწვევდა (ამის დანახვაზე უნდა დამეყვირა ,,აჰ“, როგორც ამას ზოგიერთი თვითმხილველი ამბობს)“ (და ლუსია საუბრობს ფატიმის შესახებ, Schwester Lucia spricht über Fatima, Fátima 2007, 189).



ამ მოვლენიდან 105 წლის შემდეგ ჩვენც ვიყავით ფატიმაში, ვენის იოანე დამასკელის სტუდენტური სახლის მცირე ჯგუფი, რომელიც მართლმადიდებელი და კათოლიკე წევრებისგან შედგება. გვქონდა პატივი შუაღამის ლოცვაზე დასწრებისა 12 ივლისის ღამეს, გამთენიისას, როცა დგება 13 ივლისი. მგზავრობა იყო ძალიან რთული, რადგან ავტობანი, რომელიც ფატიმისკენ მიდიოდა, გადაკეტილი იყო ტყეში გაჩენილი ხანძრის გამო, ქვეყანა ალში გახვეულიყო. ხანძარი მძვინვარებდა ფატიმიდან დაახლ. 15-20 კილომეტრის მოშორებით, ლეირიას რეგიონში. კვამლის უზარმაზარი ნალექები, რაც მხოლოდ ვულკანური ამოფრქვევის ამსახველი სურათებიდან ვიცოდით,

ამშვენებდა ჰორიზონტს. იმ დღეებში ფატიმის მუდმივი თანამგზავრი იყო ცეცხლის მძაფრი კვამლი. ძალიან ცხელოდა. თერმომეტრი 42,5 გრადუსს უჩვენებდა. ტაძრის მოედნიდანაც მოჩანდა კვამლის მუქი ღრუბლები. როდესაც შუაღამის ლოცვაზე წაიკითხეს ჯოჯოხეთის ხილვა და ლუსიას მოგონებებიდან, სცენარი, რომელსაც იმ მომენტში თავად ბუნება გვთავაზობდა, შორს არ იყო ჯოჯოხეთის ხილვისაგან. ლოცვის დასასრულს, შუაღამით, სავსე მთვარე ამოვიდა: ჯერ კაშკაშა ნარინჯისფერი, შემდეგ მუქი ნარინჯისფერი, წითელი, ყავისფერი, სანამ მთლიანად არ გაშავდა. ეს იყო მომენტი, როდესაც მარიამის მთავარი ქანდაკება მოედნის სადღესასწაულო საკურთხევლიდან მსვლელობით დააბრუნეს კაპელინიში. მთვარის გაუფერულების მიზეზი, უდავოდ, ფატიმის ირგვლივ გაჩენილი ხანძრის კვამლი იყო. და მაინც, ამ კოსმიურმა ნიშანმა გამახსენა საკითხავი ლუკას სახარებიდან და იოანეს გამოცხადებიდან: „იქნება ნიშნები მზეზე და მთვარეზე და ვარსკვლავებზე“ (ლუკ. 21, 25) და „მზე გაშავდა, როგორც ბალნის ძაძა, და მთვარე მთლიანად სისხლივით გახდა“ (გამოცხ. 6, 12).

მეორე დილით, 13 ივლისს, ისევ ილოცეს საავარდი კაპელინიში. და ზუსტად მეოთხე, დიდების საიდუმლოზე, „ვინც აღგიყვანა, ქალწულო, ზეცად“, მზე მიადგა საკურთხეველს და კაპელინიში უწმიდესი ღვთისმშობლის ქანდაკება კაშკაშა სინათლით შეიმოსა. ასე აღწერდნენ მწყემსი ბავშვები მარიამს, რომელსაც მათ წინაშე გამოცხადებამდე ყოველთვის ნათლის ბრწყინვალება უძღვოდა წინ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა მხოლოდ ერთხელ იხილეს ჯოჯოხეთის წყვდიადი, სინათლე, ფაქტობრივად, განმსაზღვრელი კოსმიური ნიშანი იყო ფატიმის გამოცხადებებში. მარიამი ისტორიის ნათლით მოსილი ფიგურაა, რომელზედაც ადამის ნათლის სამოსელი კვლავ გაბრწყინდა. იგი, როგორც პირველი ადამიანი, შემოსილია ღვთის დიდების ნათლის სამოსელით. მარიამის ქანდაკების თეთრი ფერი და ფატიმის არქიტექტურის თეთრი ქვა ამ რეალობის სიმბოლოა. ვინც თავს მიანდობს ჩვენს საყვარელ ფატიმის ღვთისმშობელს, დაცული იქნება ქრისტეს ნათლის სივრცეში; ან როგორც მეფსალმუნე ამბობს: „შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (ფსალმ. 35, 10).

ვერიკო ნოზაძე

დონ ბოსკოს ტაძარი ბრაზილიაში

დონ ბოსკოს ტაძარი - Santuario Dom Bosco de Brasilia, რომელიც მდებარეობს ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში, მიძღვნილია ბრაზილიელთათვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იტალიელი წმიდანის, სალეზელთა ორდენის დამაარსებლის, წმიდა იოანე ბოსკოსადმი. მას ქალაქის მფარველ წმიდანად მიიჩნევენ და დიდ პატივს მიაგებენ. ლეგენდის თანახმად, იტალიელმა წმიდანმა, დონ ბოსკომ 1883 წლის აგვისტოს სიზმრად იხილა ადგილი, სადაც უნდა აშენებულიყო ბრაზილიის მომავალი დედაქალაქი, თუმცა ის არასდროს ყოფილა სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე. მას სჯეროდა, რომ ამ ქალაქში სამართლიანობა იმეფებდა და დარწმუნებული იყო, რომ იქ იქნებოდა ყველაფერი საჭირო მის მცხოვრებთათვის. ამ ხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ის იყო, რომ ქალაქი მე-15 და მე-20 პარალელებს შორის უნდა აეშენებინათ. მიიჩნევა, რომ დონ ბოსკოს ხილვა იყო მთავარი სტიმული ქალაქ ბრაზილიის მშენებლობისათვის, რომელიც დღეს აღნიშნულ პარალელებს შორის მდებარეობს. ყოველი ზაფხულის ბოლოს ბრაზილიაში იმართება დღესასწაული წმიდანის წინასწარმეტყველური ხილვის პატივსაცემად.

ახალ ქალაქში, პარანოას ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ალვორადას სასახლის (ცისკრის სასახლე) მოპირდაპირედ, სწორედ მე-15 და მე-20 პარალელებს შორის, პირველად (1957 წ). აღიმართა დონ ბოსკოსადმი მიძღვნილი სამლოცველო (Ermida de Dom Bosco), **ოსკარ ნიმეიერის** პროექტის მიხედვით. ის თანამედროვე, მკაცრ სტილშია აგებული, ყოველგვარი მორთულობის გარეშე, პირამიდის ფორმისაა და დაფარულია თეთრი მარმარილოთი, ნაგებობის თავზე აღმართულია ლითონის ჯვარი. საკურთხევლის შიგნით მარმარილოში გამოკვეთილი წინასწარმეტყველის გამოსახულებაა.

შემდგომ კი, Asa Sul-ში (ქალაქ ბრაზილიის ადმინისტაციული რაიონი), აღმართულ იქნა დონ ბოსკოსადმი მიძღვნილი ტაძარი. იგი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კულტურული ღირსშესანიშნაობაა. ტაძრის აგება სალეზელთა ინიციატივა იყო ფედერალურ მთავრობასთან შეთანხმებით. სალეზელთა კონგრეგაცია ქალაქ ბრაზილიაში ჯერ კიდევ მისი მშენებლობის დროს, 1956 წელს, ჩამოვიდა.

ექსტერიერი

ვინაიდან ქალაქ ბრაზილიის მშენებლობას საფუძვლად დაედო წმიდანის ღამეული ხილვა, პროექტის ავტორმა, არქიტექტორმა **კარლოს ალბერტო ნავესმა** (Carlos Alberto Naves) გადაწყვიტა, აეგო ტაძარი, სადაც დღის ნებისმიერ დროს ღამის ასოციაცია შეიქმნებოდა. მშენებლობა 1963 წელს დაიწყო და 1970 წლის 23 მაისს დასრულდა.

ერთნავიანი ტაძარი მოდერნისტულ სტილშია შესრულებული. იგი გამოირჩევა ფანტასტიკური არქიტექტურით, ხაზებისა და ფერების სიმსუბუქით. ტაძარი გეგმაში კვადრატულია, აქვს ოთხი თანაბარი მხარე, თითოეულს ამშენებს 20 სვეტი, ყოველი მხრის კუთხეში კოშკებია, რომელთა კედლებზეც ამოჭრილია 4 უზარმაზარი ჯვარი.

ინტერიერი

ტაძრის ფართობი 1600 კვ. მეტრია და ის ათას ორას ადამიანს იტევს; ნავი ეყრდნობა 16 მეტრი სიმაღლისა და 2 მეტრი სიგანის 80 ბეტონის სვეტს (ოც-ოცი სვეტი ყოველ მხარეს), რომელთა შორისაც განლაგებულია გოტიკურ ტაძართა მსგავსი შეისრული თაღები. სვეტებს შორის უზარმაზარი, სპეციალური **ვიტრაჟების** (Vitral, რომელიც ფარავს პრაქტიკულად მთელ კედლებს, მთლიანად 2200 კვ.მეტრია) ლურჯ-იისფერის 12 ტონალური გრადაცია შუადღის პაპანაქებაშიც კი ქმნის ნათელი ღამისა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის შთაბეჭდილებას, დონ ბოსკოს ღამის ხილვის მოსაგონებლად. დღის განმავლობაში ტაძარი თითქოს ლურჯ ნისლშია ჩაძირული, ლურჯი და იისფერი სინათლე ეფინება ინტერიერის ყოველ კუთხეს და სირბილეს მატებს მას. ვარდისფერისა და ლურჯის შეხამება ქმნის შინაგანი იდუმალების ატმოსფეროს. ტაძრის მონახულება მხოლოდ ამ მართლაც შთამბეჭდავი სანახაობისთვის ღირს. არანაკლებ თვალწარმტაცია ტაძარი მაშინაც, როდესაც მსახურნი **ხელოვნურ შუქს** ანთებენ.

ვიტრაჟები სან პაულუშია დამზადებული მურანოს მინისაგან (ვენეციური მინა, მზადდება კუნძულ მურანოზე, ვენეციის ჩრდილოეთით. იგი მიიჩნევა იტალიური წარმოებისა და კულტურის ერთ-ერთ საგანძურად, აქვს ხანგრძლივი ისტორია) ბელგიელი მხატვრის **ჰუბერტ ვან დორნის** (Hubert Van Doorne) მიერ.

პორტალი

ტაძარს აქვს რკინისა და ბრინჯაოს 12 პორტალი, ოთხ-ოთხი სამი მხრიდან, რომელიც სიმბოლურად მიანიშნებს ღმერთის სამყოფელზე გამოცხადების ბიბლიური ტექსტიდან: *,,...თორმეტი კარიბჭე და კარიბჭეებზე თორმეტი ანგელოზი, და ზედ ეწერა სახელები ისრაელიანთა თორმეტი ტომისა. სამი კარიბჭე აღმოსავლეთიდან, სამი კარიბჭე ჩრდილოეთიდან, სამი სამხრეთიდან და სამი დასავლეთიდან“* (გამოცხადება, 21, 12-13).

ბარელიეფები, რომლებითაც დამშვენებულია კარებები, დამზადებულია ბრაზილიელი ხელოვანის **ჯანფრანჩესკო ჩერის** (Gianfrancesco Cerri) მიერ. მთავარ პორტალზე ბრაზილიის წინასწარმეტყველური ხილვის გამოსახულებაა. კარებების ზემო ნაწილზე გამოსახულია დონ ბოსკოს სამლოცველო, პირველი



წირვა ბრაზილიაში, დონ ბოსკოს ტაძარი. გვერდით კარებებზე წარმოდგენილია 16 კომპოზიცია, რომელიც ასახავს ჯვრის გზას, დონ ბოსკოს ცხოვრებას, მის ბავშვობასა და ოცნებას. სახელურების შიდა მხარეს ლიტურგიული და საკრალური სიმბოლოებია გამოსახული. ბრინჯაოს სკულპტურული გამოსახულებები დაყოფილია ორ ნაწილად და განთავსებულია თითოეულ კარზე. ისინი ერთმანეთს ავსებენ კარებების დახურვისას.

პრესბიტერიუმი

საკურთხეველი დამზადებულია ვარდისფერი მარმარილოს მთლიანი ნაჭრისაგან, რომელიც ჩამოიტანეს ბაიადან (Bahia, BA - შტატი ბრაზილიის ჩრდილოაღმოსავლეთში), იწონის 10 ტონას.

ჯვარცმა (სიმაღლე - 8 მეტრი, სიგრძე - 4, 3 მეტრი), რომელიც კედრის მთლიანი ნაჭრისგანაა გამოკვეთილი **გოტფრედო ტრალის** (Gotfredo Tralli) მიერ, გამოხატავს სიყვარულს მამა ღმერთისა და ძისა, რომელმაც სიცოცხლე გაიღო კაცობრიობის გადარჩენისთვის.

ამბიონი ვარდისფერი მარმარილოსგანაა დამზადებული, მასზე ბრინჯაოს ორი ანგელოზის ქანდაკებაა, რომელთაც ხელთ უპყრიათ წიგნი, როგორც სიმბოლო ღვთის სიტყვის გაცხადებისა.

დონ ბოსკოს ქანდაკება (საკურთხევლის მარცხნივ) კარარის მარმარილოსგანაა დამზადებული იტალიელი ძმების, არიგინისა და ფიგლიოს მიერ. ქანდაკება ტაძარს საჩუქრად გადასცეს იტალიაში მოღვაწე სალეზელებმა.

ქრისტიანთა შემწე ღვთისმშობლის - Nossa Senhora Auxiliadora **ქანდაკება** (საკურთხევლის მარჯვნივ) ასევე კარარის მარმარილოსგანაა დამზადებული იტალიელი ძმების, არიგინისა და ფიგლიოს მიერ. ქანდაკება ტაძარს შესწირა ქველმოქმედმა უგო ბორგიომ (Hugo Borghio).

ტაძრის მარჯვენა კუთხეში განთავსებულია **ემბაზი**, რომლის ბრინჯაოს პანელზე გამოსახულია მდინარე იორდანე და მტრედი, სულიწმიდის სიმბოლო; ემბაზისა და, ასევე, **ტაბერნაკულუმის** აკრილის ფერწერა შესრულებულია მხატვარ **ჯანფრანჩესკო ჩერის** (Gianfrancesco Cerri) მიერ.

საკურთხევლის მარცხნივ კიბეებით ჩასასვლელია ტაძრის ქვემოთ, **კრიპტაში** (საძვალე), სადაც განთავსებულია მინის სარკოფაგი, რომელშიც ჩასვენებულია დონ ბოსკოს ნატურალური ზომის ქანდაკება; აქვე ინახება **რელიკვია - წმიდანის მარჯვენა ხელის ძვლის ნაჭერი**, რომელიც სალეზელთა კონგრეგაციის წინამძღვარმა, **მამა ანჟელ ფერნანდეზ არტიმემ** (Ángel Fernández Artime) შესწირა ტაძარს 2017 წელს, რის შემდეგაც ნაგებობას ოფიციალურად მიენიჭა ტაძრის სტატუსი.

ჭაღი

ტაძარს ამშვენებს მურანოს შუშის 7400 ცალი კრისტალისაგან დამზადებული **ბროლის ჭაღი**, რომელიც შედგება 435 ნათურისაგან, იწონის 2, 5 ტონას, დაკიდებულია ტაძრის ცენტრში, ფოლადის ექვს კაბელზე, რომელიც უძლებს 6 ტონას. მისი დიამეტრია 5 მეტრი, სიმაღლე - 3 მეტრი, ინთება მხოლოდ ცერემონიების დროს ან მცირე ხნით. ჭაღი, რომელიც შექმნილია ბრაზილიელი არქიტექტორის ალვიმარ **მორეირას** (Alvimar Moreira) მიერ, სიმბოლოა იესო ქრისტესი, როგორც ,,სამყაროს ნათლისა". ის ანათებს მთელ ინტერიერს და ღამის განათების ერთადერთი წყაროა. დღისით ტაძარში მხოლოდ ბუნებრივი განათებაა და როცა ფერები მუქდება, ინტერიერი ჭაღის ბზინვარებით ივსება.

ექსტერიერის **ლანდშაფტის დიზაინი,** მწვანე ნარგავებით გაშენებული ეზო, დააპროექტა **რობერტო ბურლე მარკსმა** (Roberto Burle Marx).

დონ ბოსკოს ტაძარი მიიჩნევა დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და ლამაზ ტაძრად. იგი ბრაზილიის კულტურული მემკვიდრეობის შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთია. მას ხშირად გამოსახავენ ღია ბარათებზე, როგორც ქალაქის ღირსშესანიშნაობას. ტაძარს წელიწადში ათასობით ტურისტი სტუმრობს.

წმიდა საყდრის დესპანები საქართველოში

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ,,საბა“ 8 (320)

1998 წელს, სამხრეთ კავკასიაში დესპანობის ვადის ამოწურვის შემდგომ, არქიეპისკოპოსი ჟანპოლ გობელი ჩაანაცვლა არქიეპისკოპოსმა **პიტერ სტეფან ცუბრიგენმა** (1998-2001). მისი დესპანობის პერიოდი გამორჩეულია საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის ურთიერთობების გააქტიურებითა და გაღრმავებით. ამ დროს განხორციელდა ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროექტი, რომლითაც დაინტერესებული იყო ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტი ე. შევარდნაძე. საქართველოში, რომელსაც ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, უაღრესად მძიმე სოციალური ვითარება იყო. ამის გათვალისწინებით, პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ თხოვნით მიმართა კათოლიკე ეკლესიის მესვეურებს, რათა, სომხეთის დარად, ჩვენს ქვეყანაშიც გაეხსნათ უფასო სამედიცინო დაწესებულება. ამ საქველმოქმედო ინიციატივის წარმატებით გადაწყვეტაშიც სამხრეთ კავკასიის ნუნციუსის ჩართულობა მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. მართლაც, 1998 წლიდან თბილისის ზღვის დასახლებაში აშენდა და ამოქმედდა წმ. კამილო დე ლელისის ორდენის ავადმყოფთა მომსახურე სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სომხეთის ქალაქ სპიტაკში მოქმედი საავადმყოფოს ფილიალს წარმოადგენდა. ამჟამად კი უკვე დამოუკიდებელი და გაფართოებული კამილიელთა მრავალფუნქციური სამედიცინო დაწესებულება ასეულობით ადამიანს უწევს სამედიცინო მომსახურეობას. თითქმის ამავე პერიოდში ავლაბარში აშენდა და ამოქმედდა დედა ტერეზას დების მოწყალების სახლი.

არქიეპისკოპოს პიტერ სტეფან ცუბრიგენის საქართველოში დესპანობის დროის ყველაზე გამორჩეული მოვლენა იყო საქართველოში რომის პაპის, იოანე პავლე მეორის ოფიციალური ვიზიტი, რომელიც 1999 წლის ნოემბერში შედგა. ეს იყო რომის პაპის პირველი ვიზიტი არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ ისტორიული ვიზიტის მნიშვნელობა ბევრად მეტია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მისი აღმატებულება პიტერ სტეფან ცუბრიგენი დაინტერესებული იყო საქართველოში მოქმედი კათოლიკური საკრებულოების ცხოვრების, მათი პრობლემების უშუალო გაცნობით. იგი ხშირად სტუმრობდა კათოლიკურ საკრებულოებს და კარგად იცნობდა როგორც მათ, ასევე მთლიანად რეგიონის პრობლემებს. 2000 წლის 31 დეკემბერს განხორციელდა არქიეპისკოპოსის ვიზიტი გორის რაიონის კათოლიკურ საკრებულოებში, ვიზიტის ფარგლებში ნუნციუსი შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. სავარაუდოდ, ამ შეხვედრამ დადებითი შედეგი გამოიღო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მანამდე არსებული დიდი წინააღმდეგობა დაიძლია და სოფელ ახალხიზაში შესაძლებელი გახდა სამლოცველო სახლისთვის ნაკვეთის შეძენა და შემდგომ იქ სამლოცველოს აგებაც. არქიეპისკოპოს პიტერ სტეფან ცუბრიგენის ელჩობის დროს განხორციელდა საქართველოს კათოლიკეთათვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა: 2000 წლის 6 იანვარს წმინდა პეტრეს ბაზილიკაში პაპმა იოანე პავლე II-მ ეპისკოპოსად ხელი დაასხა სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრატორს, **მამა ჯუზეპე პაზოტოს** და, თითქმის ექვს საუკუნოვანი წყვეტის შემდგომ, საქართველოს კვლავ თავისი კათოლიკე ეპისკოპოსი მოევლინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



იაპონელმა მხატვარმა რწმენა საკრალური ხელოვნების წყალობით მოიპოვა

ოსამუ ჯოვანი მიჩიკოს არასდროს არ წაეკითხა ბიბლია, არაფერი იცოდა არც სახარების, არც ქრისტესა და არც მოციქულთა შესახებ... მაგრამ იტალიაში საკრალური ხელოვნების შესწავლამ იგი კათოლიკურ სარწმუნოებამდე მიიყვანა.

„როდესაც იტალიაში ჩავედი, ფერწერა იყო ჩემი ერთადერთი ხელობა, გზა, რომელსაც უნდა შევდგომოდი და, მადლობა ღმერთს, რომ ამ გზაზე უფლის შემწეობით სულიერი განახლება განვიცადე, - ამბობს მიჩიკო, - კათოლიკურმა რწმენამ შეცვალა ჩემი ცხოვრება. თუ როგორი დამოკიდებულება მაქვს ადამიანებისადმი, როგორ აღვიქვამ სამყაროს, როგორ ვირჩევ ცხოვრების გზას, როგორ ვიღებ და განვიცდი ტანჯვას - ეს ყველაფერი შეიცვალა. მოქცევამ ახალი სიცოცხლე შემძინა“.

ტოკიოში გატარებული ბავშვობისა და ყრმობის წლებიდანვე მიჩიკოს ყველაზე მეტად ხატვა და ფერწერა იტაცებდა, მაგრამ მშობლების გული რომ მოეგო, მან თავდაპირველად სამეცნიერო კარიერა აირჩია. უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი შეხვდა მხატვარს, რომელმაც შთააგონა, მიჰყოლოდა შინაგან მისწრაფებას და ხელი მიეყო ფერწერისათვის.

2008 წელს, როდესაც მიჩიკო ფლორენციაში ჩავიდა, რათა შეესწავლა ფერწერა ისეთ დიდოსტატთა, როგორებიც არიან მიქელანჯელო და ლეონარდო და ვინჩი, ის 37 წლის იყო. იგი გვიამბობს, რომ იმ დროისათვის ძირითადად პეიზაჟებსა და პორტრეტებს ხატავდა, ხანდახან დიდ მხატვართა შედევრების ასლებს იღებდა, რათა ესწავლა მათგან. ეძებდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, სახელდობრ, რას ეძებდა.

,,ერთხელ ჩემს კათოლიკე მეგობარს ვკითხე: „ვინ არიან ეს მეთევზეები?“ - გვიამბობს მიჩიკო. ,,გარკვეული აზრით, სახარებას ისე გავეცანი, როგორც შუა საუკუნეებში ეცნობოდნენ მას წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები: სახარებას ვეცნობოდი სახვითი ხელოვნების სიმბოლოებში. ,,ვკითხულობდი“ ამ სურათებს, ისე რომ, ჯერ კიდევ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. არ ვიცოდი, რა ამბები იყო წარმოდგენილი ნახატებში, რომლებსაც ვაკვირდებოდი, - განმარტავს მხატვარი, - ვფიქრობ, რომ, ისევე როგორც მუსიკა, მხატვრობაც ჰარმონიის საშუალებით მესაუბრებოდა და ეს მეტყველება აცოცხლებდა ჩემს სულს. ეს არ იყო მხოლოდ ტექნიკა - ასეთ რეალისტურ ნახატებში იყო კიდევ რაღაც სხვა, რაღაც წმინდა“.

კიდევ ერთმა პირადმა შეხვედრამ უდიდესი გავლენა იქონია მიჩიკოს მოქცევაზე: იგი დაუმეგობრდა ირლანდიელ მოქანდაკესა და მორწმუნე კათოლიკეს, დონალ ,,დონი“ მაკმანუსს (Dony MacManus), რომელიც მაშინ ფლორენციაში ცხოვრობდა. ვინაიდან მიჩიკომ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა ბიბლიის შესახებ, მაკმანუსმა იგი მიიწვია იოანე პავლე II-ის თეოლოგიის ცენტრში ლექციაზე, რომელიც მიეძღვნა სხეულის თეოლოგიას. ,,ამან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა“, - იხსენებს მიჩიკო.

2010 წელს, როდესაც მიჩიკო მოინათლა, მაკმანუსი მისი ნათლია გახდა. „ხელოვნებამ ახალი კარი გამიღო. ვფიქრობ, უსიტყვოდაც შეიძლება, როგორც ბახის მუსიკაში, ინტუიციურად ამოიცნო და შეიგრძნო შემოქმედის სილამაზე და დიდებულება, — აღნიშნავს მიჩიკო, - ფერწერაც ხომ წარმოგვიდგენს გულმოწყალე ღმერთს... აი, რა აღმოვაჩინე“.

ახლა კი თავად მიჩიკო ქმნის საკრალურ ტილოებს. „უკვე მსურს გავავრცელო კეთილი უწყება იმავე საშუალებით, რომლითაც ჩემამდე მოაღწია, - განმარტავს იგი, - დარწმუნებული ვარ, მრავალ ადამიანზე მოახდენს ზეგავლენას თანამედროვე საკრალური ხელოვნება. და შესანიშნავი იქნება, თუ ჩემი პროფესიის მეშვეობით შევძლებ, წვლილი შევიტანო ამ მშვენიერი მისიის განხორციელებაში. ჩემთვის ეს მეტად ბუნებრივი არჩევანია“.

2018 წლის ნოემბერში მიჩიკოს ერთ-ერთი სურათი - ,,მწუხარებისა და იმედის უწმიდესი დედა“ საჩუქრად გადაეცა ნაგასაკის არქიეპარქიას. ის ნა-

გასაკის უბიწო ჩასახვის ტაძარში, ღვთისმშობლის სამლოცველოშია განთავსებული. სამლოცველო ეძღვნება 1945 წელს მომხდარი ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ხსოვნას. ნახატის წინა პლანზე გამოსახულია მწუხარე ღვთისმშობელი, ფონზე წარმოდგენილია ატომური ბომბის აფეთქება და ქვემოთ ალმოდებული ქალაქი. „საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ ფერწერა შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, ძალიან სასარგებლო და ძალიან ძლიერი, - დასძენს მხატვარი, - და ის პირდაპირ გულში შემოდის, როგორც მუსიკა. ადამიანებს შეუძლიათ გაოცებულნი იდგნენ ნახატის წინაშე, თუნდაც გაუგებარი იყოს ის მათთვის, და აკვირდებოდნენ, ჭვრეტდნენ მას“.

მოქცევის შემდეგ მიჩიკომ შეისწავლა ქრისტიანთა დევნის ისტორია იაპონიაში, სადაც 1600 წლიდან 1873 წლამდე აკრძალული იყო ქრისტიანობა. მე-16 საუკუნის ბოლოს სამხედრო მმართველმა ტოიოტომი ჰიდეიოსიმ განდევნა მისიონერები, რომლებმაც რწმენა შემოიტანეს იაპონიაში, გაანადგურა ქრისტიანული რელიგიური მსახურებისათვის განკუთვნილი საგნები და ყველა დაბეჭდილი ბიბლია. ათასობით იაპონელი აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით. დევნას გადარჩენილი რამდენიმე კათოლიკე რწმენას გადასცემდა ზეპირად და ნათლობის გზით, ეს უკანასკნელი კი მათთვის ხელმისაწვდომი ერთადერთი საიდუმლო იყო ასობით წლის განმავლობაში.

სწორედ იმ პერიოდში, აღნიშნავს მიჩიკო, მათ შექმნეს საკუთარი საკრალური ხელოვნება. ზოგიერთი ნაწარმოები აშკარად რელიგიური ხასიათისაა, მაგალითად, ქრისტეს ფიგურები ,,Ecce Homo“-ს (Ecce homo - ლათ. სიტყვასიტყვით ,,აჰა, კაცი“) სტილში. თუმცა ბევრგან, უსაფრთხოების მიზნით, ქრისტიანული სიმბოლიკა იმალება ბუდისტურ ან შინტოს (შინტოიზმი, შინტო უძველესი იაპონური რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც სულების თაყვანისცემას ეფუძნება) ფორმებში. მაგალითად, ისინი გამოსახავდნენ ქალის ტრადიციულ ბუდისტურ ფიგურას, მაგრამ ყრმით ხელში, რათა შეექმნათ ღვთისმშობლისა და ქრისტეს სახეები.

„რაოდენ მშვენიერია, ვუმზერდეთ ამ დაშიფრულ გზავნილს, რომელშიც თვალნათლივ ჩანს მხატვრის რწმენისადმი ერთგულება, - ამბობს მიჩიკო, - როდესაც თავი იმ სიტუაციაში წარმოვიდგინე, გავიფიქრე: რისთვის უნდა ჩააგდოს ადამიანმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში საკრალური სურათების შექმნით? ვგულისხმობ, რომ თუკი ისინი ამ ნახატებს არ შექმნიდნენ, უფრო იოლად გადარჩებოდნენ. მაგრამ მათ გულით სურდათ გამოეხატათ თავიანთი სიყვარული უფლისადმი“.

„საკრალური ხელოვნება, - ამტკიცებს მხატვარი, - არ არის განკუთვნილი ერთი ადამიანისათვის და არც ადამიანთა კონკრეტული ჯგუფისათვის. ის ეკუთვნის თითოეულს, ყველა თაობას“.

ბერმონაზვნური წარმომავლობის გერმანული ლუდი

არცერთი ერის წარმომადგენელი არ არის ლუდის ისეთი მოყვარული, როგორც გერმანელები. გერმანიის მთელი ისტორიის განმავლობაში ლუდი მისი კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. არცერთ სხვა ენაში არ მოიპოვება ლუდთან დაკავშირებული იმდენი სიტყვა და ტერმინი, რამდენიცაა გერმანულში: Bierpalast - ,,ლუდის სასახლე", Bierhalle - ,,ლუდის დარბაზი", Biergarten - ,,ლუდის ბაღი", Bierhaus - ,,ლუდის სახლი", Bierkeller - ,,ლუდის მარანი", Bierzelt - ,,ლუდის კარავი". მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არა აქვს ლუდის ესოდენ უძველესი მარკა, როგორც გერმანიას. ალბათ სიმბოლურია, რომ გამოჩენილი მისიონერი და ფრანკთა სახელმწიფოს ეკლესიის რეფორმატორი, ცნობილი როგორც „გერმანელთა მოციქული" (,,Apostel der Deutschen"), მაინცის მთავარეპისკოპოსი წმიდა ბონიფაციუსი ღვინის მოწინააღმდეგე და ლუდის თაყვანისმცემელი იყო.

Franziskaner

„ფრანცისკანერი" - ლუდი, რომელსაც ეს სახელი ფრანცისკელი ბერების პატივსაცემად უწოდეს, სულაც არ არის სამონასტრო წარმოშობისა. თავიდანვე, 1363 წლიდან, ის იწარმოებოდა მიუნხენის საერო ლუდსახარშში, რომელსაც სახელი ფრანცისკელთა ორდენის ახლომდებარე მონასტრის მიხედვით ეწოდა.

1935 წელს ლუდისთვის „Franziskaner" შეიქმნა ცნობილი ემბლემა ფრანცისკელი ბერის გამოსახულებით, რომლის ავტორი იყო „გერმანული სამრეწველო დიზაინის მამად" წოდებული მიუნხენელი მხატვარი და დიზაინერი ლუდვიგ ჰოლვაინი (Ludwig Hohlwein).

2004 წლიდან კომპანია „Franziskaner" შედის მსოფლიოში უმსხვილესი ლუდსახარში კონცერნის „InBev" შემადგენლობაში. ლუდს „Franziskaner" აქვს დაცული გეოგრაფიული წარმომავლობის პროდუქტის სტატუსი - Geschützte geographische Angabe.

Augustiner

ლუდის სახელწოდება „აუგუსტინერი" მომდინარეობს ავგუსტინელთა ორდენის ბერებისაგან, რომელთა მონასტერი დაარსდა მიუნხენში 1294 წელს. ხოლო თავად ქალაქი მიუნხენი, ბავარიის დედაქალაქი, მონასტრის ირგვლივ ჩამოყალიბდა; მისი ლათინური სახელწოდება „Monachium" ნიშნავს „სამონასტროს". IX საუკუნეში მომავალი ქალაქის ერთ-ერთ ბორცვზე, რომელსაც მოციქულ პეტრეს პატივსაცემად ეწოდა პეტერსბერგი (Petersberg), დაარსდა ბენედიქტელთა სააბატო. 1294 წელს, ფრაიზინგის ეპისკოპოსის განკარგულებით, მიუნხენში ჩავიდნენ ავგუსტინელი ბერები. მათი მონასტრის მშენებლობა 1320 წლისთვის

დასრულდა, 1328 წელს კი მონასტერში უკვე გაიხსნა ლუდსახარში.

1803 წელს მონასტერი გაუქმდა და ლუდსახარში სახელმწიფოს საკუთრება გახდა. ახლა ის კერძო კომპანიაა. დღეს „Augustiner"-ი მიუნხენში ერთადერთი ლუდსახარში საწარმოა, რომელიც ისევ ხის კასრებში აწარმოებს ლუდს, რაც მას განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს.

Paulaner

მიუნხენური ლუდი „პაულანერი" სამონასტრო წარმოშობისაა. 1627 წელს ჰერცოგმა მაქსიმილიან I-მა ბავარიაში მიიწვია იტალიელი ბერები მინიმიტების ორდენიდან. მინიმიტების ორდენი (მცირეთა ორდენი) დაარსდა მე-15 საუკუნეში წმიდა ფრანცისკე პაოლელის (Francesco di Paola) მიერ, სწორედ ფრანცისკეს სამშობლოს - „პაოლას" სახელწოდების მიხედვით მიენიჭა მინიმიტ ბერებს სახელი „პაოლელები". დღეს ლუდის „Paulaner" ეტიკეტს ამშვენებს ფრანცისკე პაოლელის პროფილი.

მინიმიტებმა მიუნხენში დააარსეს წმიდა კარლო ბორომეოს მონასტერი. იტალიელი ბერები გაჭირვებით უძლებდნენ ბავარიის მკაცრ ზამთარს. იმისთვის, რომ ცოტა გამთბარიყვნენ, მათ დაიწყეს უფრო მაგარი ლუდის წარმოება. მოგვიანებით ლუდმა მიიღო სახელწოდება „დოპელბოკი"- Doppelbock.

1803 წელს პაოლელების მონასტერი გაუქმდა და ახლა ის საერო კომპანიაა. ლუდს „Paulaner" აქვს დაცული გეოგრაფიული წარმომავლობის პროდუქტის სტატუსი - Geschützte geographische Angabe.

Weideneder Papst-bier

2005 წლიდან ქალაქ ტანში ლუდსახარში „Weideneder" აწარმოებს განსაკუთრებულ ლუდს Papst-bier (პაპის ლუდი), რომის პაპ ბენედიქტე XVI-ის პატივსაცემად. ქალაქი ტანი მდებარეობს ქალაქ მარკლტის (Marktl) მახლობლად, იქ, სადაც დაიბადა ბენედიქტე XVI. ეტიკეტზე, ბოლოში, გამოსახულია მისი მშობლიური სახლი, ზევით კი - პაპის პორტრეტი. ლუდი ძალიან პოპულარულია და დადებითადაა შეფასებული თავად პონტიფექსის მიერ.

ფსალმუნთა (ფსალმ. 32, 29) ნეტარი ავგუსტინესეული განმარტებებიდან

,,ყველა, ეკლესიის გარეთ მყოფი, სურთ თუ არა ეს მათ, მაინც ჩვენი ძმები არიან“.

უპირველეს ყოვლისა, ძმებო, მოგიწოდებთ, გიყვარდეთ არა მხოლოდ ერთმანეთი, არამედ ისინიც, ვინც ჩვენს გარეთ არიან, თუნდაც წარმართები, რომლებიც არ იცნობენ ქრისტეს, ან ჩვენგან გამოყოფილები, ე. ი. ისინი, ვინც ჩვენთან ერთად აღიარებს თავს და, ამავე დროს, არ სურს სხეულს ეკუთვნოდეს.

ჩვენ გული შეგვტკივა მათზე, ძმებო; მათ ჩვენს ჭეშმარიტ ძმებად მივიჩნევთ, ვინაიდან ძმური კავშირი ჩვენ შორის მხოლოდ მაშინ დაირღვეოდა, თუ ისინი აღარ იტყოდნენ: „მამაო ჩვენო“.

წინასწარმეტყველმა ერთხელ თქვა: ,,თქვენ ჩვენი ძმები აღარ ხართ, თქვით: თქვენ ხართ ჩვენი ძმები?“ დაფიქრდით, ძმანო, ვისზე იტყოდა ამას წინასწარმეტყველი? - წარმართებზე? არა, რადგან წმიდა წერილისა და ეკლესიის წეს-ჩვეულებების თანახმად, ჩვენ მათ ძმებს ისედაც არ ვუწოდებთ. იუდეველებზე, რომლებსაც არ სწამდათ ქრისტე?

თქვენ წაგიკითხავთ წმ. პავლეს ეპისტოლენი და გქონდათ საშუალება დარწმუნებულიყავით იმაში, რომ როცა ის ამბობს „ძმებო“ და მეტს არაფერს ამატებს, ამ მიმართვაში მხოლოდ ქრისტიანებს მოიაზრებს: „და შენ რა? გმობ შენს ძმას? შენს ძმას ამცირებ? მეტიც: „თქვენ თვითონაც ჩაგრავთ და ართმევთ და თანაც ვის? თქვენს საკუთარ ძმებს“.

მათ, ვინც გვეუბნება: „თქვენ ჩვენი ძმები არ ხართ“, წარმართებად მივაჩნივართ. ამიტომ მათ სურთ კვლავ მოგვნათლონ, დარწმუნებულები არიან, რომ ამით მოგვცემენ იმას, რასაც ვართ მოკლებულნი. ეს არის იმათი ცდომილება, ვინც ძმებად არ მიგვიჩნევს. განა რისთვის გვითხრა წინასწარმეტყველმა: „ასე მიუგეთ მათ: თქვენ ჩვენი ძმები ხართ“, თუ არა იმის გამო, რომ ჩვენ ვჭვრეტთ მათში იმას, რასაც არ ვიზიარებთ? ამრიგად, ისინი არ აღიარებენ ჩვენს ნათლობას და, შესაბამისად, არც ძმებად მიგვიჩნევენ, ჩვენ კი, იმის მიუხედავად, რომ არ ვიზიარებთ მათ სწავლებას, ვაღიარებთ მათ ნათლობას, როგორც საკუთარს და ამით ვეუბნებით: „თქვენ ჩვენი ძმები ხართ“.

თუ შეგვეკითხებიან: ,,რისთვის დაგვეძებთ, რა გსურთ ჩვენგან“, ჩვენ მივუგებთ: ,,თქვენ ჩვენი ძმები ხართ.“ თუ გვეტყვიან: „დაგვტოვეთ, ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს“, მივუგებთ: სინამდვილეში არცთუ ცოტა საერთო გვაქვს, ვაღიარებთ ერთ ქრისტეს, შესაბამისად, უნდა დავრჩეთ ერთ სხეულში, დავემორჩილოთ ერთ თავს.

ძმებო, გევედრებით იმ უზენაესი სიყვარულისთვის, რომლის რძითაც ვიკვებებით და რომლის პურიც გვაძლიერებს, გევედრებით ქრისტეს, ჩვენი უფლის, გულმოწყალების სახელით, ვინაიდან უკვე დადგა ჟამი, ვაჩვენოთ მათ დიდი სიყვარულისა და უხვი გულმოწყალების ნიჭი და შევთხოვოთ უფალს, მოგვცეს საღი გონება, რათა ისინი გონს მოეგონ და მიხვდნენ, რომ არ არის მათში ისეთი არაფერი, რასაც შეუძლია ჭეშმარიტებას დაუპირისპირდეს, გარდა სიჯიუტის სენისა, რომელიც რაც უფრო ძლიერია თვითონ, მით უფრო ასუსტებს მათ. მხურვალე ლოცვით ევედრეთ უფალს, შეეწიოს სუსტებს, გულისთქმათ აყოლილთ. ისინი ჩვენი ძმები არიან, იმავე საიდუმლოებას იზიარებენ, რასაც ჩვენ, თუმცა არა ჩვენთან ერთობაში. ისინი ჩვენსავით ამბობენ: ,,ამინ“, მაგრამ არა ჩვენთან ერთობაში.

სტრატეგიული სესია გუნდისთვის - Caritas-Spes Ukraine

23-24 ივლისს Caritas-Spes Ukraine-ს დიდი გუნდისთვის ორდღიანი სტრატეგიული სესია გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ეროვნული ოფისის გუნდი და ჩვენი მისიის, ეპარქიისა და სამრევლო ფილიალების წარმომადგენლები. სესიის სტუმრები და დამხმარეები იყვნენ ერიკ ჰეინონენი, პარტნიორობის კოორდინატორი კათოლიკური დახმარების სერვისებიდან (CRS) და ანაჰით მხოიანი, საქართველოს კარიტასის დირექტორი.

ორდღიანი სესია გუნდისთვის იყო გაერთიანების, ხუთთვიანი ჰუმანიტარული კრიზისის შეჯამების, ახალი მიზნებისა და სამუშაო პრიორიტეტების დასახვის დრო. სესიაზე ჩვენმა გუნდმა გააანალიზა და მიმოიხილა Caritas-Spes Ukraine-ს მისია და ხედვა, ასევე არსებული ანტიკრიზისული პროექტები მათი ეფექტურობის გასაზრდელად. სტრატეგიულ სესიას წინ უძღოდა Team-Building. ჩვენს მისიას ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ახალი თანამშრომლებიც შემოუერთდნენ, ამიტომ კოლეგებთან პირდაპირი კონტაქტი ბევრისთვის მნიშვნელოვანი გახდა.

ნინო ღამბაშიძე

შენ ღმერთს ჰგავხარ...

თანამედროვე იგავი

ცხოვრობდა ამქვეყნად ერთი კაცი. იგი განთქმული იყო თავისი სიმშვიდითა და ყოველივე ამქვეყნიურისადმი სიყვარულით. ნებისმიერი საქმე, რასაც ხელს მოჰკიდებდა, მშვენივრად გამოსდიოდა. მას ყველა პატივს სცემდა, ხშირად მიდიოდნენ მასთან რჩევის საკითხავად.

ერთხელ ბრძენ კაცს ესტუმრა მეზობელი, რომელსაც მისი ყველაფერი შურდა. დიდებული იყო იგი და ამაყი.

– მე ყველაფერი მაქვს ცხოვრებაში! - უთხრა მეზობელმა პატივცემულ კაცს, - საკმაოდ კარგად ვცხოვრობ. მაგრამ ქალაქში შენ უფრო მეტად გაფასებენ, ვიდრე მე. როგორ ფიქრობ, ვის ვგავარ?

ბრძენ კაცს გაეღიმა და უთხრა:

– შენ ღმერთს ჰგავხარ.

შურიანმა მეზობელმა კმაყოფილმა გაიღიმა. მაგრამ მას სურდა საძაგლად მოქცეოდა მოყვასს, ამიტომ წამოიყვირა:

– სამაგიეროდ, შენ ნაგავი ხარ! ვერ გამიგია მთელ ქალაქს როგორ იზიდავ!

არაფერი უპასუხა ბრძენმა კაცმა, მხოლოდ ოდნავ გაიღიმა.

ამან კიდევ უფრო მეტად გააბრაზა მეზობელი. მაგრამ მაინც ჰკითხა:

– რატომ არ გწყინს ჩემი სიტყვები, შენ ხომ ღმერთი მიწოდე, მე კი ნაგავს შეგადარე.

– რა არის აქ საწყენი? - უპასუხა ბრძენმა კაცმა, – ვინც საკუთარ თავში შეიცნო ღმერთი, ის მას სხვა ადამიანებშიც ხედავს. ხოლო ის, ვინც სავსეა ნაგვით, ყველას ნაგვად მიიჩნევს.



გამოიცა პეტრე ოცხელის ნამუშევრების კატალოგი

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამომცემლობა „სეზანმა“ პეტრე ოცხელის ნამუშევრების კატალოგი გამოსცა. ფერადი კრებული ხელოვნების სასახლემ მოამზადა და იგი ზუგდიდსა და ქუთაისში პეტრე ოცხელის ნამუშევრების გამოფენას ეძღვნება. შეგახსენებთ, რომ 12 აგვისტოს ზუგდიდში, უფლისწულის სასახლეში, 15 სექტემბერს კი ქუთაისში, დავით კაკაბაძის სახელობის გალერეაში დიდი მხატვრის გრანდიოზული გამოფენა გაიხსნება. ღონისძიება კულტურის სამინისტროს ინიციატივით ეწყობა, გამოფენის მხარდამჭერია „მუზეუმელთა ალიანსი“.

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

საქართველოში კათოლიკე ეკლესიამ დაკარგა ძალიან თბილი, მშვიდი, თავმდაბალი და მორწმუნე მონაზონი და მარიეტ დეროშე. იგი 6 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, საღამოს 21:00 საათზე გარდაიცვალა.

და მარიეტ დეროშე კანადიდან იყო. იგი წმიდა ნინოს დების კონგრეგაციას 1964 წელს შეუერთდა და 58 წელი მსახურებდა. საქართველოში ხუთი წლის წინ ჩამოვიდა და აქ წმ. ნინოს კონგრეგაციის დების უფროსი იყო.

Catholic.ge-სთან ბოლოს მიცემულ ინტერვიუში მან თქვა: „ბედნიერი ვარ აქ, საქართველოში, არასდროს მინანია, რომ ჩამოსვლის შეთავაზებას დავთანხმდი. მსურს მქონდეს ძალა და ჯანმრთელობა, რათა გავაგრძელო ჩემი საქმე“...

და მარიეტ დეროშე, მისივე ანდერძის თანახმად, საქართველოში, რაბათის სავარდის ღვთისმშობლის ტაძრის ეზოში დაიკრძალა...

ჟურნალ ,,საბას“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს და მარიეტ დეროშეს გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს წმ. ნინოს კონგრეგაციის დებს, და მარიეტას ოჯახის წევრებსა და მთელ კათოლიკე ეკლესიას...

ლერი გიორგი სურმავა
* 01. 11. 1936, ზუგდიდი
† 16. 08. 2022, თბილისი

გიგლა ზაქროშვილი
* 04. 05. 1932, ვალე
† 31. 07. 2022, ვალე